ხაშურის მოამბე

№33 (64) 26 აგვისტო, პარასკევი, 2016 წელი



28 აგვისტოს მარიამობაა, გიღოცავთ!

მარიამობა - ერთი თორმეტთაგანი საუფლო დღესასწაული. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მარიამი მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ, მისი ანდერძისამებრ, იერუსალიმში მოციქულ იოანე ღვთისმეტყველის სახლში ცხოვრობდა. მთავარანგელოზმა გაბრიელმა ღვთისმშობელს სამი დღით ადრე აუწყა გარდაცვალება (მიძინება). ღვთის ნებით, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მყოფი ყველა მოციქული (წმ. თომა მოციქულის გარდა) შეიკრიბა იმ ოთახში, სადაც ღვთისმშობელი ესვენა. ოთახი უჩვეულო ნათელმა გააბრწყინა და მისი სული თავად უფალმა მიიღო.

ქალაქის ცენტრი ახალ სახეს მიიღებს

გაზეთის წინა ნომერში ჩვენ უკვე დავაანონსეთ მშენებლობა ხაშურის ცენტრალური მოედნის რეკონსტრუქციის შესახებ. დღეს გთავაზობთ მაკეტს, თუ რა სახეს მიიღებს მოედანი რეკონსტრუქციის შემდეგ. აქვე დავამატებთ, რომ სამუშაოები, რომლის ღირებულება 200 ათას ლარამდე ჯდება, მთლიანად ადგ-



ილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. მისი დასრულების შემდეგ კი მკვეთრად გაიზრდება მოედნის გამტარუნარიანობა, მოეწყობა პარკირების სისტემა 50 ავტომანქანისათვის, გალამაზდება მოედნის იერსახე.

მშენებლობას ტენდერში გამარჯვებული შპს „ინჟინერი" აწარმოებს. სამუშაოები კი ოქტომბრის შუა რიცხვებში დასრულდება.

პრემიერ-მინისტრი - ხაშურში

ხაშურმა უნდა დაიბრუნოს ის ლოჯისტიკური, სატრანზიტო ფუნქცია, რომელიც მას ყოველთვის გააჩნდა და ამით განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინოს ქვეყნის ეკონომიკურ აღმასვლაში,– ამის შესახებ საქართველოს პრემიერ–მინისტრმა ხაშურში, მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

გიორგი კვირიკაშვილმა ხაშურელებს პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი–ვალერი გელაშვილი წარუდგინა და ქვეყნის განვითარების სამომავლო გეგმა გააცნო.

მისი თქმით, მომავალი ოთხი წელი სწრაფი და ფუნდამენტური ცვლილებების პერიოდი იქნება.

„ჩვენ არ გვაქვს ნაპრალი მოსახლეობასთან, ჩვენ ისეთივე რიგითი ადამიანები ვართ, როგორც თითოეული თქვენგანი, ამიტომ ჩვენ კარგად ვაფასებთ ყველაფერს, რაც კეთდება ამ ქვეყანაში. ჩვენ დიდი პასუხისმგებლობით ვაპირებთ მომავალი 4 წლის გავლას და სწრაფი ნაბიჯებით, მნიშვნელოვანი, ფუნდამენტური ცვლილებებით ეკონომიკაში, განათლების სისტემაში, ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციით... მომავალი 4 წლის განმავლობაში 5 მილიარდ დოლარზე მეტი უნდა დაიხარჯოს დამატებით, ვიდრე დღეს ხმარდება ინფრასტრუქტურას. ჩვენ ამას გავაკეთებთ, ეს არის შესაძლებელი და ამის კონკრეტული გეგმა

გაგვაჩნია. არჩევნების მეორე დღიდანვე ჩვენ დავიწყებთ ამ გეგმის განხორციელებას,"–აღნიშნა პრემიერმა.

პარტიის თავმჯდომარემ წინასაარჩევნო პროცესის თავისუფალ და ღია გარემოში მიმდინარეობის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ „ქართული ოცნების" მთავარი პრიორიტეტი მოქალაქეების ღირსება და თავისუფლებაა.

„თქვენ ძალიან კარგად იცით, რაც ხდებოდა ხაშურში 2012 წელს. ბატონმა ვალერი გელაშვილმა საკუთარ თავზე იწვნია უსამართლობა, სახელმწიფო აპარატის წნეხი და ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშეც იდგა. მან ძალიან კარგად იცის, რა არის ადამიანის ღირსება და ვაჟკაცობა და სწორედ ის კაცია, რომელიც ვაჟკაცურად დაუდგა იმ უსამართლობას, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში,"– განაცხადა პრემიერ–მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილმა ხაშურელებს „ქართული ოცნების" მხარდაჭერისკენ მოუწოდა და იმედი გამოთქვა, რომ საზოგადოების კონსოლიდაციით, 4 წლის თავზე თვისობრივად ახალ ქვეყანას მივიღებთ.ხაშურის მაჟორიტარი დეპუტა-

ტობის კანდიდატმა ვალერი გელაშვილმა სიტყვით გამოსვლისას პრემიერ-მინისტრსა და „ქართული ოცნების" გუნდს გამოცხადებული ნდობისა და მისი კანდიდატურის წარდგენისთვის მადლობა გადაუხადა.

„ხაშურში უკვე მეოთხედ ვიყრი კენჭს. სამჯერ, თქვენთან ერთად, ბრძოლით, გავიმარჯვეთ უსამართლობის წინააღმდეგ. მეოთხედაც ჩვენ, „ქართულ ოცნებასთან" ერთად, ქვეყანაში არსებული სამართლიანი არჩევნების პირობებში, აუცილებლად გავიმარჯვებთ. ამ ოთხი წლის განმავლობაში ხელისუფლებასთან ერთად შევეცდები მაქსიმალურად შევქმნათ სამუშაო ადგილები, რათა ყველა ოჯახში შევიდეს კეთილდღეობა. ყველას უღრმეს მადლობას გიხდით აქ მობრძანებისთვის. ჩვენ 8 ოქტომბერს გამარჯვებას ვიზეიმებთ",-განაცხადა ვალერი გელაშვილმა.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №349

2016 წლის 28 ივლისი
ქ. თბილისი

სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2016 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ

მუხლი 1

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლისა და „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა ორგანიზებულად გაწვევის მიზნით:

1. მოქალაქეთა 2016 წლის საშემოდგომო გაწვევა განხორციელდეს 2016 წლის პირველი აგვისტოდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე.
2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ ქვედანაყოფებში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 1250-ით.
3. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 1103-ით.
4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ ქვედანაყოფებსა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტში გაწვეულ იქნენ 18დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არ აქვთ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება.
5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში, ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული უწყებების წერილობითი მოთხოვნების შემთხვევაში, სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2016 წლის საშემოდგომო გაწვევის პროცესი შესაბამის უწყებაში შეიძლება შეწყდეს ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებამდე.
6. 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ამ დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან ვალდებულნი არიან, გამოცხადდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის (შემდგომში – თბილისის რაიონი) შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში (შემდგომში – მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეული) რეგისტრაციის/ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.
7. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, ამ დადგენილების ამოქმედებიდან 10 დღის ვადაში, განსაზღვროს ის სამედიცინო დაწესებულებები, რომლებშიც გაიგზავნებიან წვევამდელები დამატებითი სამედიცინო გამოკვლევისათვის.
8. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაკრებლის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში, მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის გამწვევი კომისიის მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.
http://www.matsne.gov.ge 12026002010003019414
9. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ადგილებზე აღმოუჩინოს დახმარება მუნიციპალიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს იმ წვევამდელთა მოძებნასა და მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.
10. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ კოორდინაცია გაუწიოს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესს.

მუხლი 2 დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 30 ივლისიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

ა(ა)იპ ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანება #496

2016 წლის 22 აგვისტო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „„ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების" სტრუქტურულ ერთეულებში ვაკანტურ თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ წესდების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს კონკურსი ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სტრუქტურულ ერთეულებში ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად თანდართული დანართების შესაბამისად (დანართი 1 და დანართი 2 თან ერთვის).
2. კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს საქართველოს ქმედუნარიანმა მოქალაქემ, რომელიც ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და აკმაყოფილებს ვაკანტური თანამდებობის მიმართ წაყენებულ ამ ბრძანების დანართი 1-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
3. კონკურსში მონაწილე კანდიდატს უფლება აქვს გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განაცხადი წარადგინოს 2016 წლის 22 ავისტოდან 2016 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით ა(ა) ი პ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ადმინისტრაციაში არაუმეტეს ერთ ვაკანსიაზე და წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
   ა) განცხადება გაერთიანების დირექტორის სახელზე;
   ბ) ავტობიოგრაფია (CV);
   გ) განათლების (უმაღლესი განათლების) დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
   დ) პირადობის დამადასტურებლი დოკუმენტის ასლი;
   ე) სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი (შრომის წიგნაკი (არსებობის შემთხვევაში) ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, რომელშიც ასახული იქნება სამსახურის დაწყების და დასრულების თარიღი და დაკავებული თანამდებობა);
   ვ) კვალიფიკაციის დამდასტურებელი სხვა დოკუმენტების ასლები;
4. კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:
   ა) განცხადების გადარჩევა;
   ბ) გასაუბრება.
5. გასაუბრებაზე კონკურსანტს მოეთხოვება ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2016 წლის 22 აგვისტოს 495 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა) ი პ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სტრუქტურულ ერთეულებში ვაკანტურ თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის თემატიკის ცოდნა.
6. კონკურსის მეორე ეტაპზე გადავა მხოლოდ ის კანდიდატი, რომლის განაცხადიც აკმაყოფილებს ვაკანტური თანამდებობისათვის დადგენილ მოთხოვნებს.
7. შემდეგ ეტაპზე გადასულ კანდიდატთან დაკავშირება მოხდება მის მიერ განაცხადში მითითებული ტელეფონის საშუალებით;
8. საკონკურსო კომისიების მუშაობა წარიმართოს ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2016 წლის 19 აგვისტოს 494 ბრძანების ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სტრუქტურულ ერთეულებში ვაკანტური თანამდებობების საკონკურსო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად;
9. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდეს გაზეთ „ხაშურის მოამბე“-ში, ა(ა) ი პ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების“ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში და განთავსდეს ხაშურის მუნციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებულ საინფორმაციო დაფაზე;
10. ხაშურის თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისის მისამართი: ქ. ხაშური, ძნელაძის ქ. 10, საკონტაქტო პირი თეა ჭავჭავაძე, ტელ: 557 42 93 39
11. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
12 ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-
საბავშვო ბაღების გაერთიანების“
დირექტორი **დავით ნოზაძე**

დანართი N1

ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანება“ აცხადებს კონკურსს ამავე გაერთიანების სტრუქტურული ერთეულებში „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №3 საბავშვო ბაღში“, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №9 საბავშვო ბაღში“, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №10 საბავშვო ბაღში“, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №11 საბავშვო ბაღში“, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №12 საბავშვო ბაღში“ და „სოფელ ვაჟის საბავშვო ბაღში“ შემდეგ თანამდებობებზე:

„სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №3 საბავშვო ბაღში“
1. აღმზრდელის თანაშემწე - 1.

„სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №9 საბავშვო ბაღში“
1. აღმზრდელის თანაშემწე - 1.

„სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №10 საბავშვო ბაღში“
1. აღმზრდელის თანაშემწე - 1.

„სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №11 საბავშვო ბაღში“
1. ექთანი - 1.

„სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №12 საბავშვო ბაღში“
1 ექთანი - 1.

„სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ვაჟის საბავშვო ბაღი“
1. საქმის მწარმოებელი - 1
2. აღმზრდელი მასწავლებელი - 2
3. აღმზრდელის თანაშემწე - 2
4. მუსიკის მასწავლებელი - 1
5. ექთანი - 1
6. მზარეული - 1

უფრო ვრცლად აღნიშნული კონკურსის სხვა დამატებითი მოთხოვნების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ „ხაშურის მოამბის“ „ფეისბუკ“ - გვერდზე.

წინსვლაზე და მომავალზე ორიენტირებული ფერმერი

ამჯერად სოფელ ვაყას ვესტუმრეთ, სადაც, როგორც ამბობენ, ჩვენს მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი ყველაზე მშრომელი ხალხი ცხოვრობს–დილიდან საღამომდე ფუტკრებივით ფუსფუსებენ, ღოვლათს ქმნიან ოჯახისთვის და ქვეყნისთვის.

ჩემი რესპოდენტის, **ილია მაჭარაშვილის** სახელი და გვარი სხვა ღირსებებთან ერთად, კარგ ოჯახიშვილობასთან და მშრომელ, დაუღალავ ფერმერთან ასოცირდება ჩვენს მუნიციპალიტეტში. მის ოჯახს, გენეტიკურად მოსდევს სოფლის სიყვარული. მანაც თავისი ძალები სოფლის მეურნეობაში სცადა, სადაც ათეულობით წელია მთელ მონდომებას, ფიზიკურ და გონებრივ რესურს დებს. შრომა უფასდება, ყოველწელს ხორბლის და სიმინდის მოსავლის რეკორდული რაოდენობას იღებს. მისი ბაღები შერეული ტიპისაა, თითქმის ყველა კულტურით ათვისებული, რაც დამახასიათებელია ქართლისათვის.

–ამ საქმიანობას ტრადიციულად ოჯახურად მივყვებით, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს, როდესაც კოლმეურნეობები არსებობდა. მიწების მოსახლეობაზე დანაწილების შემდეგ, ჩვენს ოჯახს 3 ჰა მიწის ფართობი ერგო, დავინტერესდი სოფლის მეურნეობით და გაფართოებაზეც დავიწყე ფიქრი. დღეისათვის 15 ჰა მიწა მაქვს ჩემს საკუთრებაში. გარდა ამისა, წელს 20 ჰა-მდე მქონდა იჯარით აღებული სახელმწიფოსგან.

-ძირითადად რა კულტურების მოყვანით ხართ დაკავებული?

–შერეული ტიპის მეურნეობა მაქვს, მომყავს მარცვლეული კულტურებიც და ბოსტნეულიც. წელს კარტოფილი 4 ჰა-ზე მითესია, პომიდორი არ მაქვს დიდ ფართობზე. სიმინდი, ხორბალი, ძირითადად "პიონერის" ჯიშის მაქვს, მაღალი მოსავლიანობით გამოირჩევა და ხუთი წლის მანძილზე იძლევა მოსავალს, შემდეგ გამოსაცვლელი ხდება თესლი.

მაქვს ხილის ბაღი, ტრადიციული ვაშლის ჯიშებით, ასევე, ამერიკიდან შემოტანილი ჯიშები, საშუალო საძირეზე, 3 ჰა-ზე მაქვს გაშენებული, 3 წლის ბაღია, გასულ წელს ნაყოფიც მომცა. წელს დაახლოებით 50 ტონამდე მოსავალს ველოდებით. მესაქონლეობას ვეწევი, დაახლოებით 15 სული მყავს, 10 სული მეწველი. მაგრამ საძოვრების სიმცირის გამო, ალბათ, დავანებებ თავს. ფუტკარიც აღარ მყავს იმ რაოდენობის, იმდენია, რაც ოჯახს აკმაყოფილებს, ძირითადი აქცენტი სოფლის მეურნეობაზე გავაკეთე.

-როგორც ვიცი, ხორბლის რეკორდული მოსავალი მიიღეთ...

– გასულ წელს 1 ჰა-ზე 9,500 ტონა ხორბალი მივიღე, ესაა იტალიური ხორბლის ჯიში "პიონერი პ 57", წელს – 8 ტონა. შარშანდელი ერთი ჰა ნათესით, წელს 25 ჰა დავთესე, ანუ 250 კგ-დან მაქვს 200 ტ. პროდუქცია. სიმინდის მოსავალიც კარგი იყო, 1 ჰა-ზე 10 ტ. მარცვალი მივიღე, რაც კარგი მაჩვენებელია ჩვენი რაიონისთვის.

-რა ფორმით უკეთებთ რეალიზებას?

–ჩვენ ძირითადად როგორც სათესლე მასალა, ისე ვყიდით. ფასიც შესაბამისად, უფრო მაღალია. წელს ხორბლის საბაზრო ფასი 40-45 თეთრია, როდესაც სათესლე ხორბლის ფასი 1,50 თეთრია, მოსავლიანობის თვალსაზრისით ამართლებს მისი დათესვა, რადგან 5 წლის განმავლობაში მაღალი მოსავლიანობით ხასიათდება. ძირითადად ამ ჯიშზე მოთხოვნილება სხვა რაიონის ბაზრებზეა, სურვილის და დაინტერესების შემთხვევაში, მსურველებს შეუძლიათ მომმართონ და ხელსაყრელ ფასად შეიძინონ ხორბლის თესლი. რაც შეეხებაა ვაშლის მოსავალს, გასულ წელს თითქმის ყველა რაიონის ბაზარი მოვსინჯე, მხოლოდ ხაშურზე არ ვიყავი ორიენტირებული.

პატარა ტრაქტორები მყავს, რომლითაც ყველაფრის კეთება შეუძლებელია, ამიტომ შ.პ.ს "მექანიზატორის" ტრაქტორებით ვსარგებლობ. ტრაქტორის ყიდვა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და ერთი ფერმერისთვის საკმაოდ რთულია.

- სახელმწიფოს მხარდაჭერის პროგრამებით თუ გისარგებლიათ? თანამედროვე კოოპერატივები სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორისგან დიდ ყურადღებას და მხარდაჭერას იღებენ, ამაზე თუ გიფიქრიათ?

–„დანერგე მომავალში“ ვიღებ მონაწილეობას, მინდა 3 ჰა ხილის ინტენსიური ბაღი გავაშენო წვეთოვან სისტემაზე. სხვა სახელმწიფო პროგრამებით არ მისარგებლია. ვაპირებ კოოპერატივის შექმნას, რადგან მეტი ხელშეწყობაა სახელმწიფოს მხრიდანაც და არასამთავრობო ორგანიზაციებიდანაც. 5 წევრი უკვე ვართ, იმედი გვაქვს, საშუალება მოგვეცემა ჩვენი საქმიანობა გავაფართოოთ და გარდა ამისა, სხვა, კოოპერატივების მიმართ სკეპტიკურად განწყობილ მოსახლეობას მისგან მიღებული სიკეთე ვაჩვენოთ.

- თქვენი აზრით, რა არის საჭირო ამ დარგის განვითარებისთვის?

–სოფლის მეურნეობა ძალიან რთული დარგია, თუ სწორად მიუდგები, დაიცავ აგროვადებს, აუცილებლად გახვალ მოგებაზე. უამრავი თანამედროვე ტექნოლოგიაააა დღეს, რომელიც ყოველწლიურად ვითარდება. აუცილებელია ისწავლო და განვითარდე. მაშინდელი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული და ეს ყველაფერი ახლობელიცაა ჩემთვის, რაც მაძლევს იმის შესაძლებლობას, განვვითარდე და სამომავლოდ წინსვლასა და გაფართოებაზე ვიფიქრო.

თ. ჯავახიშვილი

მიწისქვეშა გადასასვლელი მოწესრიგდება, მე-6 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია მოხდება

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა, გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, ხაშურში, ძნელაძის ქუჩაზე მიწისქვეშა გადასასვლელის და თევდორე მღვდლის ქუჩაზე №6 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

მიწისქვეშა გადასასვლელი ათწლეულების განმავლობაში მოუწესრიგებელი იყო, სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ კი მოქალაქეებისთვის გადაადგილება ბევრად უფრო კომფორტული გახდება. პროექტს მუნიციპალიტეტის გამგეობა აფინანსებს და მისი ღირებულება 74 876 ლარს შეადგენს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანადაფინანსებით და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრებით მიმდინარეობს ხაშურში, თევდორე მღვდლის ქუჩაზე №6 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები. № 6 საბავშვო ბაღის შენობა გასული საუკუნის 70-იან წლებში აშენდა და ავარიული მდგომარეობის გამო, წლების განმავლობაში, თავის ფუნქციებს ვეღარ ასრულებდა. ამჯერად კი თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ საბავშვო ბაღში, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდა-განათლებისთვის საჭირო ყველა პირობა იქნება გათვალისწინებული. პროექტის ღირებულება 759 857 ლარს შეადგენს და წლის ბოლოსთვის დასრულდება.

გაცრეცილი ფოტოები





ჩვენი ტრადიციული რუბრიკით „გაცრეცილი ფოტოები“ ამჯერად ქვიშხეთის ხედებს წარმოგიდგენთ, რომელიც XIX საუკუნის ოთხმოციან წლებში უნდა იყოს გადაღებული. მათზე ქვიშხეთის ერთი უბნის ხედი და ყიფიანების საგვარეულო კოშკია ასახული.

ენამყრალი ტინგიცები

იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც ჰგონიათ, რომ სიტყვის თავისუფლება ყველაფრის წამოყრანტალების უფლებას აძლევს, მინდოდა ენაწატლეკილები მეწოდებინა, მაგრამ ახლა იმდენი ენაწატლეკილი ტრიალებს ჩვენს გარშემო, რომ მათ მოსმენას მივეჩვიეთ და ენაზე კბილის დაჭერისკენაც კი აღარ მივუთითებთ ხოლმე.

ძნელია, ზუსტად გაავლო ზღვარი იუმორს, სატირასა და დაცინვა-დამცირებას შორის, ისევე, როგორც ძნელია, გამიჯნო ერთმანეთისგან მოლაყბე, მოლაქლაქე, ენაწაგდებული, ენაწატლეკილი, ენაჭარტალა, ყბედი, როყიო და ა.შ. მაგრამ ასეთთა შორისაც გამოირჩევიან ადამიანები, რომლებიც თავისი განსაკუთრებული ტინგიცობით შეურაცხყოფას აყენებენ მოქალაქეთა დიდ ნაწილს. ასეთ გამორჩეულებს მე ენამყრალებს ვუწოდებ.

ამ წერილის დაწერისგან დიდი ხანია თავს ვიკავებდი, მაგრამ როგორც ჩანს, ენამყრალი ტინგიცები არ ამთავრებენ ხაშურის და ხაშურელების დაცინვით მოხსენიებას ტელეეკრანებიდან თუ პრესის საშუალებით, ცდილობენ რაიონი წარმოაჩინონ როგორც ჩამორჩენილი მხარე, სადაც არაფერი კეთდება ცხოვრების გაუმჯობესებისათვის და ხალხი მოწყვეტილია გარე სამყაროს.

ამ ცოტა ხნის უკან, ერთმა ჩვენმა ცნობილმა და პატივსაცემმა თანამემამულემ გულისტკივილით მისაყვედურა თუ რატომ არ ვაკეთებ რეაგირებას, როცა ხაშურსა და ხაშურელებს ხშირად ჩვენებურებიც კი აუგად იხსენიებენ და დამისახელა გაზეთი და ენამყრალი ადამიანი, რომელმაც, თურმე, ჩვენ ხეპრეებად და ხეპრულად მოლაპარაკე კუთხედ და ხალხად მოგვიხსენია. ამ პატივცემულ ადამიანს ვუთხარი, რომ რაიონის ღირსების დასაცავად

შენნაირმა ავტორიტეტულმა ადამიანებმა უნდა ამოიღონ ხმა, მე კი არაფერს წარმოვადგენ, თან დავაყოლე: ვირიდან წიხლი არ უნდა გეწყინოს მეთქი.

ენაწატლეკილმა ტინგიცა მსახიობებმა და ჟურნალისტებმა რომ სიძულვილის ენით ლაპარაკი არ დამწამონ, კონკრეტული პირების დასახელებიდან თავს ვიკავებ, მაგრამ როგორ გაეჩუმდე, როცა ვირის წიხლი არ მწყინს, მაგრამ ძლიერ ტკივილს მაყენებს?

ზომიერება ყველგან საჭიროა. წრეგადასულმა ლანძღვა-გინებამ, რომელსაც ჩვენი ყოფილი ქარაფშუტა პრეზიდენტი მ. სააკაშვილი მიმართავდა ხოლმე 150 მილიონიანი, ბირთვული იარაღით გადაჭედილი სახელმწიფოს მეთაურის მისამართით და მას ქონდრის კაცსა და ლილიპუტინს უწოდებდა, მიგვიყვანა სიძულვილის ისეთ დონეზე გაღვივებამდე, რომ სახელმწიფოთა შორის ნორმალური ურთიერთობის შესაძლებლობანი ამოიწურა და ატყდა სისხლისმღვრელი ომი. ამ ომის შედეგად საქართველომ დაკარგა ტერიტორიის მეხუთედი ნაწილი, 10 წლით მაინც ჩამოვრჩით ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ განვითარების დონეს, მივიღეთ მშობლიური კერიდან აყრილი ლტოლვილად ქცეული ათიათასობით თანამოქალაქე, მიწასთან გასწორებული ათობით სოფელი და, რაც ყველაფერზე მეტად გულსატკენია, დაგვეღუპნენ ჩვენი ახალგაზრდა სამხედრო მოსამსახურენი და მშვიდობიანი მოქალაქენი.

ხშირად ვფიქრობ და მზარავს იმის წარმოდგენა, თუ რა მოხდებოდა რუსეთი რომ არ შეჩერებულიყო, ანდა მის თავზეხელაღებულ სარდლობას ხელი დაეჭირა იმ ღილაკისთვის, რომლის შიშითაც შეძრწუნებულია მთელი მსოფლიო.

როგორ ფიქრობთ, რომელი სახელმწიფო ამოგვიდგებოდა მხარში? ვინ დაუწყებდა ჩვენი გულისთვის რუსეთს ომს? როგორ დაიცვეს უკრაინა? ვინ რა უქნა ამერიკის შეერთებულ შტატებს ხიროსიმასა და ნაგასაკში ჩადენილი ვერაგობისთვის? რა შედავათი იქნებოდა მიწასთან გასწორებული საქართველოსთვის მსოფლიოს სახელმწიფოთაგან გამოგზავნილი შეშფოთებისა და თანაგრძნობის გამომხატველი დეპეშების მიღება?

ენამყრალ ტინგიცა ჟურნალისტებს და მსახიობებს შევახსენებ, რომ მათნაირთა ქმედებებმა უკან დასწიეს როგორც საქართველოს, ასევე ხაშურის განვითარების შესაძლებლობანი, თორემ დრო იყო, როცა ხაშურის სამრეწველო პოტენციალის გამოყენებას მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ქვეყნის განვითარების საქმეში.

ჩვენს რაიონში არსებობდა და წარმატებით ფუნქციონირებდა საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა, საკონსერვო, მექანიკური, შუშის, ღვინის, სპირტის ქარხნები, მეფრინველეობის ფაბრიკა, ასევე ფუნქციონირებდა ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი და ა.შ. განვითარებული იყო სოფლის მეურნეობის ისეთი დარგები, როგორიცაა მემინდვრეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მესაქონლეობა და ა.შ.

როგორც მახსოვს, მარტო ხაშურისა და ქარელის რაიონებში ითესებოდა შაქრის ჭარხალი, რომლის მოსავალი, მნიშვნელოვანწილად, აკმაყოფილებდა ქვეყნის მოთხოვნილებებს. ხაშურში 1872 წელს მოვიდა პირველი მატარებელი და,

როგორც საკვანძო სადგური, განვითარდა სარკინიგზო ინფრასტრუქტურა.

როგორ შეიძლება ხეპრე უწოდო იმ რაიონის ხალხს, სადაც ფუნქიონირებდა 60-მდე საჯარო და 2 მუსიკალური სკოლა, 3 პროფტექნიკური სასწავლებელი, 3 მუზეუმი, 7 კულტურის სახლი, 37 კლუბი, 49 ბიბლიოთეკა, 7 საავადმყოფო, 9 საექიმო ამბულატორია, 16 საფერშლო და სამეანო პუნქტი, მრავალი საბავშვო ბაღი, სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი, სადაც 1876 წელს სცენის მოყვარულთა დასმა დასაბამი მისცა სახალხო თეატრს.

როგორ შეიძლება ხეპრედ და ჩამორჩენილ ხალხად მოიხსენიო ხალხი და კუთხე, რომლის ტერიტორიაზეც ადამიანის უწყვეტი ცხოვრების კვალი დასტურდება ქვის ხანიდან. აქ აღმოჩენილი უძველესი განძეულობა დაცულია სახელმწიფო მუზეუმებში.

საკმარისია გავიხსენოთ სოფელ წაღვლის ტერიტორიაზე სამაროვნებსა და ნასახლარებში აღმოჩენილი უძველესი განძეულობანი. ჩვენთან ხომ აღმოჩენილი და აღრიცხულია უძველესი დროის ნასოფლარები, ნაეკლესიარები, ბრინჯაოს ხანის ნასახლარები და ა.შ.

ჩვენი რაიონი ქართული კულტურისა და ქრისტიანული სამყაროს განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია.

ენამყრალი ტინგიცები რაიონში მხოლოდ ჰამაკებსა და ნაზუქებს ხედავენ და ვერ აცნობიერებენ იმ ქალთა ჯოჯოხეთურ შრომას, რომლებიც ორმოცგრადუსიან სიცხეშიც კი, ცხოვრების პირობების გამო, იძულებულნი არიან გავარვარებულ თონეში თავჩაყოფილებმა ლუკმა პურის ფული გამოიმუშაონ და ოჯახი არჩინონ.

რამდენად ეთიკურია სასაცილო თოქშოუებში მათი მოხსენიება? ხომ არავის ჰგონია, რომ სურამელ ქალბატონებს პურის ცხობა ურჩევნიათ, საუკეთესო კურორტებზე დასვენებას და დროსტარებას?

შევახსენებ ტინგიცა, ტაკიმასხარა მსახიობებს და ჟურნალისტებს, რომ ჩვენი რაიონის ტერიტორიაზე შემორჩენილია წრომის VII საუკუნის ტაძარი, მონასტრის (ქვიშხეთის) ღვთისმშობლის სახელობის და პატარა ფლევის წმინდა გიორგის სახელობის VIII-IX საუკუნის ეკლესიები. ასევე აღსანიშნავია IX-X საუკუნეების დიდი ხალების ქარტის, დუმაცხოვის კვირიკეს, თაგვეთის ღვთისმშობლის, მიწობის წმ. სტეფანეს, წრომი-ნადარბაზევის დედაღვთისას, ურთხვის წმ. გიორგის, ხცისის ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიები, ბრილის X საუკუნის ღვთაების ეკლესია, ცოცხნარის კვირაცხოვლისა და ქვიშხეთის ფერისცვალების ადრეფეოდალური ხანის ეკლესიები, საქართველოსთვის ძნელბედობის ჟამის XVI–XVII საუკუნეებში აშენებული ხაშურის წმ. მარინეს და იტრიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიები.

ჭკუასუსტი მსახიობები და ჟურნალისტები სურამში მხოლოდ ნაზუქებს ხედავენ და ვერ ამჩნევენ სურამის ციხეს, არაფერი იციან მის შიგნით არსებული XI-XII საუკუნეში აგებული წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის არსებობის შესახებ. არც ის გაუგონიათ, რომ სურამი ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია ქრისტეს დაბადებამდე 200 წლით ადრე, როგორც მჭიდრო დასახლება, იქნებ არც ის იციან, რომ სურამი წარმოადგენს საუკეთესო კლიმატურ-ბალნეოლოგიურ კურორტს, იქნებ არც ის იციან, რომ სოფელი ალი XII საუკუნეში წარმოადგენდა ზემო ქართლის სამეფო ქალაქს და რომ მის შემოგარენში აღმოჩენილია უძველესი განძეულობანი.

იქნებ ამ უვიც ენამყრალ ტაკიმასხარებს, წარმოდგენაც არ აქვთ ტაშისკრის, სურამის, ღართის და სხვა ბრძოლებზე. იქნებ ისიც არ იციან, რომ ჩვენი რაიონის 5132 ვაჟკაცი შეეწირა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, იქნებ არც გრიგოლ სურამელისა და დიმიტრი ყიფიანის შესახებ გაუგონიათ რამე. ეს ტაკიმასხარები ხომ თავისი ქარაფშუტა ლიდერის ანარეკლს წარმოადგენენ, რომლებსაც მშობლიური ღირებულებანი არაფრად მიაჩნიათ, მზად არიან სკამის გულისათვის სამშობლოს მოქალაქეობაზე უარი თქვან და სხვას ულოკონ სასირცხვო ადგილები.

ნამდვილად ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ გაიხსენეთ ჩვენს რაიონში აღზრდილი მსოფლიოში სახელმოხვეჭილი სპორტსმენები, კულტურისა და ხელოვნების წარჩინებული მუშაკები, სხვადასხვა დარგის ათობით მეცნიერებათა დოქტორი და აკადემიკოსი, ცნობილი პოეტები და მწერლები, სამხედრო მოღვაწენი, სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოების და საპატიო წოდებების მატარებელი ღირსეული მოქალაქენი და გააკეთეთ დასკვნა: შეიძლება თუ არა ასეთი ხალხის მშობლიურ კუთხეს უწოდო ჩამორჩენილი და ხეპრე?

მე მოვუწოდებ ტინგიც შოუმენ მსახიობებს და ენაწატლეკილ ჟურნალისტებს, რომ ხაშურზე და მის მოსახლეობაზე ლაპარაკის დაწყებამდე პირი კარგად გამოირეცხონ.

შენ კი ხაშურზე უსაზღვროდ შეყვარებულო და მასზე მზრუნველო თანამემამულევ, ჩვენო საერთო მეგობარო, შეგახსენებ, რომ საქართველო, სამწუხაროდ, არასოდეს განიცდიდა ისეთების სიმცირეს, რუსები რომ „ჟოპალეზებს“ ეძახიან. ასეა ახლაც.

მაპატიე, თუ ამ წერილით შენი გულისტკივილის გამოხატვა ვერ შევძელი.

რევაზ გრიგალაშვილი

„სვიმონაანთ მდგმური“

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ხმ“ №32)

მესამე წერილი, რომელიც ასევე უთარიღოა, სიმონ ეჯოშვილი კვლავ თავის პრობლემებზე საუბრობს და კერძო ხასიათისაა:

„პატივცემულო ბატონო არჩილ!

ბოდიშს ვითხოვ, რომ მალე პასუხი ვერ მოგწერეთ. მე ქალაქში ვიყავი ერთი კვირით და იქიდამ გიახელით. ერთი წერილი სახში დამხვდა და ერთიც ციპაში(წიფა-თ.ლ.). მეწყინა, რომ თავის დროს პასუხი ვერ გაგეცით, მამიტევეთ, რადგანაც სახლში არ ვიყავი. ბატონო არჩილ, წერილი არ იკარგება სურამში დავოსტრებავანი. შენი ჭირიმე, ჩქარა რო მოვასწრო ახალ წელიწადსა მივეტანო თავის ალაგასა. მარჯვენა ნეკა თითში მამასწრო სტანოკმა და მომწყვიტა მარტო ფრჩხილი. იმისთვის ვერ ვწერამ რიგიანათ, მამიტევეთ. სხვაფრივ კარგათა ვართ. ზავ(ო)დში ვმუშაობ, თვეში 40, ოთხი თუმანი მაქს ჯამაგირი. გისურვებთ სიცოცხლესა და კარგად ყოფნასა.

გწერთ მორჩილი თქვენი სიმონ ეჯოშვილი“.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს წერილი, რომელიც არჩილ ჯორჯაძეს და სხვებს სიმონ ეჯოშვილთან დაკავშირებით გაუგზავნიათ იტრიაში ადგილობრივ მებატონესთან (ჩხეიძესთან) შუამდგომლობის მიზნით. ავტორები წერილში საუბრობენ იმ მიზეზებზე, რამაც დაძაბა ურთიერთობა სიმონ ეჯოშვილსა და მებატონეს შორის. ამავე დროს, რაც მთავარია, კარგად ჩანს არჩილ ჯორჯაძის დამოკიდებულება ამ ფაქტის მიმართ. არჩილ ჯორჯაძე სიმონ ეჯოშვილის კერძო ხასიათის პრობლემას ზოგადეროვნული პრობლემის ჭრილში განიხილავს და სთხოვს მემამულეს, გაითვალისწინოს საკითხის ეს მხარე და ისე გადაუწყვიტოს სიმონ ეჯოშვილს პრობლემა. რომ ნაკლებათ მიადგეს ზიანი, აპატიოს მას ხელშეკრულების დარღვევა. მითუმეტეს, რომ, როგორც იკვეთება, ხელშეკრულების დარღვევაში სიმონ ეჯოშვილის ბრალეულობა ნაკლებად ჩანს.

გთავაზობთ ამ წერილსაც:

„დიდად პატივცემულო კნეინა!

ბოდიშს ვიხდით შეწუხებისათვის და იმედი გვაქვს ჩვენს შუამდგომლობას კადნიერებად არ ჩამოგვართმევთ. გწერთ სიმონ ეჯოშვილის საქმის თაობაზე. სიმონ ეჯოშვილის საქმეს, რამდენადაც გავეცანით მას, საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ იმას, თუ როგორ გადასწყვეტს ამ საქმეს თქვენი სამართლიანობის გრძნობა.

დიაღ, სწორედ ამ სამართლიანობის და ადამიანობის გრძნობის იმედი გვაქვს, რადგან ყოველი სხვა საზომი აქ უსამართლო და უადგილო იქნება.

ხელშეკრულების ძალით, რომელიც ხელში გიჭირავთ და რომლის მიხედვით საქმე სასამართლოში გადაეცით, გამარჯვება თქვენს მხარეზე იქნება. მაგრამ, კნეინა, ეს გამარჯვება არ იქნება გამარჯვება სამართალისა და ადამიანურის მოპყრობისა. ჩვენ ვიცით, რომ სიმონ ეჯოშვილმა ვერ შეასრულა სავსებით დადებული პირობა, მაგრამ ვიცით ისიც, რომ ეს მას ბოროტებით კი არ მოუვიდა, არამედ იმიტომ, რომ ამხანაგებმა უმტყუნეს. თქვენ მარტო სიმონისთვის არ მიგიყიდნიათ მამული, არამედ მასთან ერთად კიდევ ორ მის ამხანაგისათვის. ამ ამხანაგებსაც უწერიათ ამ პირობაზე ხელი. საქმე კი ისე დატრიალდა, რომ მარტო სიმონი ხდება პასუხისმგებელი. ამხაგანებს, რომლებმაც უმტყუნეს, ამ მამულში არავითარი შრომა არ გაუწევიათ. სიმონმა კი აქ დიდი შრომა გასწია, ბაღად აქცია გავერანებული ადგილი, სადაც ნახირი დადიოდა, წისქვილი განაახლა. ამას გარდა, როგორც ხელშეკრულებიდამ სჩანს, ათასხუთასი მანეთი ჩაუბარებია თქვენთვის. მართალია, ყოველივე ეს მცირეა შედარებით იმ თანხისა, რომელიც თქვენ გერგებათ. მართალია, სიმონმა სახლიც ააგო იმ მამულზე, რომელიც ჯერ კიდევ გამოუსყიდველი ჰქონდა, მაგრამ ნუთუ მის მდგომარეობაში არ შეხვალთ, კნეინა, და უქმათ ჩაუტარებთ გაწეულ შრომას. საჩივარი შეგიტანიათ. სამართალი, რა თქმა უდნა, გაამტყუნებს სიმონს და მიუსაჯებს პირობაში აღნიშნულ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას. და ეს კი ნიშნავს იმას, რომ სიმონს ყოველივე უნდა ჩამოერთვას, ეს ნიშნავს იმას, რომ მას თქვენი მამულიდამ აჰყრიან და შარა გზაზედ გაისტუმრებენ.

და აი, უსამართლობა სწორედ აქ იმალება. ადამიანთა ურთიერთობაში, მით უმეტესად გლეხთა და მემამულეთა ურთიერთობაში, ფორმალური კანონით ხელმძღვანელობა შეუძლებელია. საქართველოს მემამულეებმა, რომ ამ ფორმალურის კანონით იხელმძღვანელონ, გლეხს აღარ დაედგომება თავის სამშობლოში, რადგან სიღარიბის გამო, იგი ხშირად ვერ ასრულებს ფორმალურ ვალდებულებას მემამულისადმი. სწორეთ ამ აზრის მიხედვით მოვიწადინეთ ჩვენ ამ საქმეში ჩარევა.

ვიღებთ რა ყოველივე ამას მხედველობაში, დიდის პატივისცემით მოგმართავთ თქვენ, კნეინა, როგორც ოჯახის წარმომადგენელს და გთხოვთ თქვენ და თქვენს შვილებს გამოიტანოთ სასამართლოდან თქვენი საჩივარი და შინაურულად მოურიგდეთ სიმონს. ამასთან თავდებნი ვართ იმისა, რომ სიმონ ეჯოშვილი დაემორჩილება ყოველივე თქვენს გადაწყვეტილებას. ოღონდ ეს გადაწყვეტილება იმ ხასიათისა იყოს, რომ მას შრომა მუქთათ არ ჩაუაროს და შარა გზაზედ უსახსროდ არ დარჩეს.

კიდევ ერთხელ ვითხოვთ ბოდიშს შეწუხებისათვის და თქვენის პასუხის მოლოდინში დავრჩებით თქვენი პატივისმცემელნი“.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ არჩილ ჯორჯაძეს სურამის ბიბლიოთეკისათვის თავისი წიგნებიც შეუწირავს. ბიბლიოთეკის გამგე ალ. ხორავა 1911 წლის 13 აგვისტოს „სახალხო გაზეთში“ წერდა: „სურამის სამკითხველოს გამგეობას მხრით გულითადს მადლობას ვუცხადებთ პატივცემულ მწერალს არჩილ ჯორჯაძეს თავისი წიგნების „ეროვნული პრობლემების გარშემო“ და „ჩვენი საზოგადოებრივობის“ შემოწირვისათვის“.

ალ.ხორავას ოჯახში აღმოჩნდა ფოტო, რომელზეც სურამის საზოგადოებასთან აღბეჭდილია არჩილ ჯორჯაძე.

თბილისში დაბრუნებული არჩილ ჯორჯაძე ნინი ყიფიანს (ტატიშვილი) მოუნახულებია. ეს ფაქტი იმდენად არის საყურადღებო, რომ ნინოსთან საუბრის შემდეგ არჩილ ჯორჯაძემ გადაწყვიტა მონოგრაფია დაეწერა დიმიტრი ყიფიანის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სნეულება მორეოდა, იტრიაში დასვენებამ შესაძლებლობა მისცა ხელი მოეკიდა ისეთი დიდი და საინტერესო პიროვნების ცხოვრებისათვის, როგორიც დიმიტრი ყიფიანი იყო.

ნინო ყიფიანი იგონებს: „შემოდგომა იყო, სოფლიდან ორიოდე დღის ჩამოსული ვიყავი, რომ მითხრეს, არჩილი აგარაკიდან (იტრიიდან– თ.ლ.) დაბრუნდა, მომჯობინებულია, მაგრამ მაინც ვერ არის კარგად, სიცხეს აძლევსო. მაშინვე წავედი სანახავად. სასახლის ქუჩაზე იდგა, სასტუმრო „პალე როიალის“ სულ მაღლა სართულში...

არჩილი ჩაცმული იყო. ლოგინზე წამოწოლილი. მოინდომა წამოდგომა, მაგრამ ხელი მივატანე და მუდარით ვთხოვე არ შეწუხებულიყო. დამიჯერა, ბოდიში მოიხადა და დამიწყო მუსაიფი...

ჩემს შეკითხვაზე, თუ როგორ გრძნობდა თავს, დიმილით მიპასუხა: – ვერა ვარ კარგად, სიცხეს მაძლევს მაგრამ არა უშავს რა, ერთი ისიც დავსწერო, რის დაწერაც გულში მაქვს ამჟამად და მერე რაც იქნება – იყოს.

შემატყო, რომ მინდოდა გაგება, რის დაწერას აპირებდა ისეთი გულით და თითონვე დაუმატა: – ილიას ბიოგრაფია მინდა დავსწერო.

ამის თქმაზედ მეორე პირის ბიოგრაფია გამახსენდა და უნებურად ცოტა შურით ვუთხარი: – ნეტავი ილიას, რომ მისი ბიოგრაფია დაიწერება და მერე ისიც თქვენგანა!

ჰო, მართლა, – მაშინვე მიხვდა არჩილი ვის ბიოგრაფიაზედ ვიტყოდი და მაშინვე მომატანა, ვკითხულობდი გაზეთებში დიმიტრი ყიფიანის ბიოგრაფიის შესახებ. მგონია დაწერას აპირებენ.

გადაჭრით ვუთხარი, რომ არავინ არ სჩანდა მისი ბიოგრაფიის დამწერი და დავუმატე:

- აი, ბატონო არჩილ, თქვენ რომ როდისმე მოგენდომებინათ...

- მე? – შემეკითხა გაფაციცებით და თან ლოგინიდან წამოიწია, – დიდის, დიდის სიამოვნებით ეხლაც დავსწერდი დიმიტრის ბიოგრაფიას, მაგრამ უბედურება ის არის, რომ მის შესახებ მასალები ბევრს ალაგას იქნება გაფანტული და მე კი ამითი ძებნა არ შემიძლაინ, ღონე არ შემწევს.

ამის თქმაზე გაფაციცების ჯერი ახლა ჩემზე მიდგა და ვუპასუხე: –თქვენ ოღონდ დაწერა შესძელით, მოინდომეთ და მაგისთვის კი მე მიმსახურეთ. თვით დიმიტრის სახლშიაც ბევრი არის მასალა, მისი ხელთ ნაწერები. ყველას აქ მოგართმევთ.

ასეთი წინადადება არჩილს ძალიან გაუხარდა და დაბეჯითებით მითხრა: –მაშ კარგი ილიას ბიოგრაფიას გადავსდებ. იმისი მასალა ბევრი მაქვს და მოვკიდებ ეხლა ხელს დიმიტრის ბიოგრაფიას...“ .

ასე გადაწყდა თბილისში იტრიიდან ჩასვლის შემდეგ არჩილ ჯორჯაძის მიერ დიმიტრი ყიფიანის შესახებ მონოგრაფიის დაწერის საკითხი. ნინო ყიფიანმა ყოველმხრივ შეუწყო ხელი არჩილს და „ორი თვის განმავლობაში კიდეც დაასრულა“ შრომა.

არჩილ ჯორჯაძის მონოგრაფია „დიმიტრი ყიფიანი“ დღემდე ერთ–ერთ საუკეთესო ნაშრომად ითვლება დიდი მამულიშვილის შესახებ.

მომდევნო 1912 წლის ზაფხულში არჩილ ჯორჯაძე წაღვერში ისვენებდა. მის მიმართ საოცარ ყურადღებას იჩენდა ცნობილი მეტყევე და საზოგადო მოღვაწე, სურამის მკვიდრი მიხეილ მურვანიშვილი. იგი იმჟამად წაღვერის სატყეოს უფროსად მუშაობდა. არჩილ ჯორჯაძის არქივში შემონახულია მისი ერთი წერილი. მიხეილ მურვანიშვილი მადლობას უძღვნის არჩილ ჯორჯაძეს იმ სიამოვნებისათვის რომელიც მას მიუღია არჩილის სტატიით აკაკი წერეთლის შესახებ:

„ღრმად პატივცემულო ბატონო არჩილ!

გიძღვნით გულწრფელ სალამს და მოკითხვას. როგორ ბრძანდებით? თქვენმა წერილმა აკაკისადმი ღრმა და ნეტარი სიამოვნება აგრძნობინა ჩემს გულს. გისურვებთ კარგათ ყოფნას ჩვენი ხალხის სანუგეშოდ. გულითადი თქვენი პატივისმცემელი მიხაკო მურვანიშვილი“.

1913 წლის 21 მარტს, ბათუმში, არჩილ ჯორჯაძე გარდაიცვალა. საქართველოსთან ერთად დიდი მამულიშვილი სურამლებმაც დაიტირეს. „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე ფართო ასახვა ჰპოვა სურამელთა თუ ხაშურელთა, ქვიშხეთელთა თუ ალელთა გამოძახილმა.

24 მარტს ბათუმიდან თბილისისკენ რკინიგზით წამოასვენეს არჩილ ჯორჯაძის ცხედარი. იმავე დღის საღამოს ხაშურის სადგურზე ჩამოდგა მატარებელი. აქ თავი მოეყარა აუარებელ ხალხს, აქ იყვენენ ხაშურ-სურამის ინტელიგენციის თითქმის ყველა თვალსაჩინო წარმომადგენელი. მათ შორის იყო ხაშურის გიმნაზიის პედაგოგი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, უკვე ღრმად მოხუცებული გიორგი იოსელიანი, რომელმაც „თითქმის ქვითინით წარმოსთქვა... თავისი გრძნობიარე სიტყვა: „მას შემდეგ, სთქვა მან, რაც უგუნურმა გააპო გული საქართველოს დიდი მიჭირნახულის ილიასი, თითქოს ზეცამ ხელი აგვაღო და შურისძიებით გვეპყრობაო“.

იქვე იდგნენ სამღვდელოების წარმომადგენლები, რომლებიც ლოცვას აღავლენდნენ არჩილ ჯორჯაძის სულის მოსახსენებლად. მათ ლოცვებში ხშირად გაისმოდა სიტყვები: „საქართველოს დიდი შვილი არჩილი“, „სამშობლოს სახელოვანი შვილი არჩილი“.

ცხედარს აუარებელი ხალხი დახვდა გომში, ქარელში, გორში... და იმავე დღეს მატარებელი ჩავიდა თბილისში. არჩილ ჯორჯაძის ცხედარი სიონში დაასვენეს...

23 მარტს „სახალხო გაზეთში“ არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალებით შეწუხებული მიხელი ქაიხოსროს ძე ყიფიანი ქვიშხეთიდან წერდა: „ჩემი ქართველობა, ჩემი ადამიანობა და ჩემი მოქალაქეობრივი შეგნება არჩილის სიკვდილით განიცდის უსაზღვრო მწუხარებას. ვაი რომ უკანასკნელი სიტყვა ვეღარა მივაწვდინე დაუფასებელს არჩილს. დიდებული, მართალო მოაზრე ქართველო, ვიდრე ცოცხალი ვარ თავმოდრეკით მოგიგონებდე“.

იმავე დღეს გაზეთი აქვეყნებს სოფელ ალიდან გაგზავნილ დეპეშებს:

„სოფელ ალის მომხმარებელი საზოგადოება „სხივი“ ღრმად დამწუხრებული საუკეთესო მამულიშვილის უძვირფასესის არჩილის დაკარგვით, იზიარებს ქართველი ერის მწუხარებას.საზოგადოების გამგეობა“.

„ვგლოვობთ და ვსტირით ძვირფასი არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალებას. ალის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობა“.

„გულდაწყვეტილნი ვგლოვობთ ჩვენი ერის სათაყვანო გმირს, მისი სიმბოლოს გამომხატველს, ჩაგრულთა მოქომაგეს და ინტერესების დამცველს არჩილს“ - წერდა ხაშურის ნავთსადენის მუშათა სახელით ლ. ცინცაბაძე .

28 მარტს გაზეთი აღნიშნავდა, რომ „სურამის ქართველმა საზოგადოებამ 25 მარტს გადაიხადა პანაშვიდი ჩვენი ძვირფასი, დაუვიწყარ არჩილ ჯორჯაძის სულის მოსახსენებლად“. იქვე გაზეთი გადმოგვცემდა სურამელთა განწყობილებასაც - „მწარე ცრემლით ვტირით ქართული პუბლიცისტიკის საგრძნობლად დაობლებას“.

დეპეშები გაიგზავნა ხაშურიდან: თამარ და მიხეილ მარუაშვილების მიერ. აგრეთვე, დიმიტრი და კონსტანტინე დიასამიძეების, კარბელაშვილის, დარია დეკანოზიშვილის, გულისაშვილის, ლაკაშინისა და მდვდელ ქურქაძის მიერ.

26 მარტის, სამგლოვიარო პროცესიას, სხვა გვირგვინებთან ერთად წინ მიუძღვოდა ხაშურიდან გაგზავნილი გვირგვინი შემდეგი წარწერით: “ხაშურის საზოგადოებისაგან: „დაბეჩავებულ სამშობლოსთვის თავდადებულ მებრძოლს– არჩილ ჯორჯაძეს“.

ერთი ათეული წლის შემდეგ არჩილ ჯორჯაძეს დაივიწყებენ. მისი სახელი მკაცრად გასაიდუმლოვდება, თითქოს არც კი ყოფილა ამ ქვეყნად და რაიმე კვალი არ გაევლოს ქართულ ცნობიერებაში. ასეთი იყო იმ ეპოქის ნება, სანამ ბევრი ტაბუდადებული სახელი ისევ არ დაიბრუნა საქართველომ.

ასე გავა თითქმის ერთი საუკუნე არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალებიდან და 2008 წელს წიგნის თაროებზე გამოჩნდება მწერალ როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი დიდი მამულიშვილის შესახებ. როსტომ ჩხეიძე არც უღალატებს მისი მიერ ქართულ მწერლობაში დამკვიდრებულ თემას და ამჯერად არჩილ ჯორჯაძის ცხოვრებასა და ღვაწლზე მოუთხრობს მკითხველს, შეახედებს დიდი მოაზროვნის ლაბორატორიაში და განაცდევინებს უდროოდ ჩამქრალი მამულიშვილის ბედსა და უბედობას. წიგნს სახელად ავტორი არჩილ ჯორჯაძის მიერ იტრიაში შექმნილი წერილების ციკლის სახელწოდებას – „წერილები იტრიის წისქვილიდან“, დაარქმევს.

იტრიელი ჩხეიძეების ღირსეული შთამომავალი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს იტრიას და მასთან დაკავშირებული არჩილ ჯორჯაძის – „სიმონაანთ მდგმურის“ – ცხოვრების ეპიზოდებს.

თამაზ ღაცაბიძე

ადამიანები, რომლებიც ქალაქს ყვავილებით აფერადებენ

ჩვენი მუნიციპალიტეტის თითოეული მოქალაქეს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა, თუ როგორ გალამაზდა და ყვავილების ქალაქს დაემსგავსა ჩვენი ხაშური. დამეთანხმებით, რომ ამდენი ყვავილი ჯერ არასოდეს დარგულა, ლომის წილი კი ამ საქმეში „სავანეს" თანამშრომლებს მიუძღვით. მათი დაუღალავი შრომით, მოწადინებით და გარჯით ქალაქი

დღეს ფერადია. საქმის წარმატებასთან ერთად ორგანიზაცია კიდევ უფრო ახალ და მეტ ობიექტს ითვისებს ყვავილების დასარგავად. ერთ-ერთი ბოლო ადგილი გახლდათ ყაზბეგის ქუჩაზე დასასვენებელი სკვერი, რომლის გამწვანების სამუშაოები ამჟამად მიმდინარეობს. გამწვანების სამსახურის თანამშრომლებს მუშაობის პროცესში მივუსწარით. საოცრად ლაღი ხალხი, რომლებიც საოცრად გულმოდგინედ ასრულებდნენ დაკისრებულ სამუშაოს. ათასფერი ყვავილების სიხასხასე და სიხალისე თანამშრომლებსაც გადასდებოდათ და ენაკვიმატი გადაძახილებით ერთმანეთში, ისედაც სასიამოვნო გარემოს კიდევ უფრო ახალისებდნენ. მალევე თავის თანამშრომლებს „სავანეს" დირექტორი ვასილ ხაჩიძეც შეუერთდა. შესრულებულ სამუშაოებზე გვიამბო, უდიდეს კმაყოფილებას გამოთქვამდა საკუთარ თანამშრომლებზე და იმ ღვაწლზე ისაუბრა, რაც მათ გასწიეს ქალაქის გამწვანების საქმეში.

ვასილ ხაჩიძე: ჩვენი სამსახური ამჟამად 9 თანამშროელს ითვლის. ნამდვილად დიდ გარჯას მოითხოვს ეს სამუშაო. მარტო ყვავილების დარგით ჩვენი საქმე არ მთავრდება. მანამდეც და ყვავილების დარგვის შემდეგაც აქტიურად და გულმოდგინეთ ვაგრძელებთ აგროღონისძიებების ჩატარებას. ყვავილებს მორწყვა სჭირდებათ, გამარგვლა, ბალახის გამოცვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთ თვესაც ვერ გასტანს ყვავილი. სწორედ ამ უდიდეს საქმეს ეჭიდება ეს ხალხი და ძალიან ვამაყობ ჩემი თანამშრომლებით და თითოეული მათგანი იმსახურებს, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ გაიცნოს, პირველ რიგში დედა-შვილი მარინა და თეონა ბარბაქაძეები, ალიკა ბარბაქაძე, ომარი ლაცაბიძე, გოგიტა ყაზახაშვილი, გოგი თუთახაშვილი, ვაჟა ხაჩიძე, გიორგი სუდაძე, ჯემალი ბანცაძე, გელა ჯახველაძე, ჩვენი სპეციალისტები: ვალოდია ჭაღიაშვილი, ნოდარ მოწონელიძე, მალხაზი ხარაზიშვილი და ემზარ ბუაძე. სწორედ ამ ხალხის დამსახურებაა დღეს ქალაქი შესამჩნევად რომ გალამაზდა. საერთო ჯამში, ამ სეზონზე, 50 000 ძირი ყვავილი დაირგა: სალვინია, აგეტესი, ზაფრანა, პორტულესი ბეგონიები, სხვათა შორის, ბეგონიებით გავაკეთეთ საქართველოს დროშები შადრევანთან.

მარინა ბარბაქაძე, „სავანეს" თანამშრომელი: „უკვე მესამე წელია „სავანეში" ვმუშაობ. ძირითადად, სანერგე მეურნეობაში ვარ, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, სხვა სამუშაოებსაც ვასრულებ. ვმარგლავ, ბალახებს ვაცლი ყვავილებს, ვრწყავ, საყვავილეებს ვამზადებ და სხვა. აქ მოსვლამდე გამოცდილება არ მქონია ამ საქმეში, ყველაფერი აქ შევისწავლე და ავითვისე."

ჩვენი მკითხველის სახელით უდიდეს მადლობას ვუხდით ამ გამრჯე ხალხს. ღმერთმა ჯანი და შეძლება მისცეს, რათა კვლავ განაგრძონ ქალაქის გაფერადებაზე ზრუნვა.

თ. ახალკაცი

ჩაერთე ლიტერატურულ და სამხატვრო მარათონში

ჩაერთეთ, დრო ცოტაა. 22 სექტემბრამდე უნდა მოასწროთ!

„ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის" უპრეცედენტო კონკურსები!

ლიტერატურული კონკურსი „ჩვენი თავგადასავალი" და კონკურსი დამწყები მხატვრებისთვის „შექმენი შენი კალენდარი" უპრეცედენტო მასშტაბს იძენს.

ორივე კონკურსის მიზანი, ნიჭიერი პროზაიკოსებისა და მხატვრების აღმოჩენის გარდა, არის ის, რომ მოზარდების ხელით შეიქმნას წიგნი და კალენდარი, რომელიც უსინათლო და მცირემხედველი თანატოლებისთვის იქნება განკუთვნილი.

დაწერე „ჩვენი თავგადასავალი", „შექმენი შენი კალენდარი" და ჩაერთე მოძრაობაში - ჩვენ შენს გვერდით ვართ!

ორივე კონკურსი ერთ დროსა და ერთ სივრცეში გაიმართება - 28 სექტემბერი-2 ოქტომბერი, ახალციხე.

მონაწილეობის მსურველთათვის:

„ჩვენი თავგადასავალი" - კონკურსი დამწყები პროზაიკოსებისთვის

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ წერის ნიჭით დაჯილდოვებულ 14-18 წლის მოზარდებს, რომელთაც თავიანთი მოთხრობები (მხატვრული ნაწარმოებები) 22 სექტემბრამდე უნდა გამოაგზავნონ ელექტრონულ მისამართზე: chvenitavgadasavali@cync.ge

განხილვისთვის აუცილებელი პირობაა, მიუთითოთ:

- სახელი, გვარი
- ქალაქი (დაბა, სოფელი), რეგიონი
- საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, მისამართი)
- სკოლის დასახელება
- მშობლის (კანონიერი მეურვის) საკონტაქტო ინფორმაცია

მხატვრული ნაწარმოები არ უნდა აღემატებოდეს 4 ფორმატის 5 გვერდს (შრიფტი - უნიკოდი, შრიფტის ზომა - 11, ფაილის ტიპი - Microsoft word document)

არ განიხილება ჩანახატი, ლექსი, პოემა, პიესა, ესსე, სასკოლო თემა/თხზულება.

მოთხრობის თემა თავისუფალია.

ფინალური ეტაპისთვის შეირჩევა 24 მონაწილე.

„შექმენი შენი კალენდარი" - კონკურსი დამწყები მხატვრებისთვის

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ხატვის ნიჭით დაჯილდოვებულ 12-18 წლის მოზარდებს, რომელთაც თავიანთი ნამუშევრები 22 სექტემბრამდე უნდა გამოაგზავნონ ელექტრონულ მისამართზე: shenikalendari@cync.ge

განხილვისთვის აუცილებელი პირობაა, მიუთითოთ:

- სახელი, გვარი
- ქალაქი (დაბა, სოფელი), რეგიონი
- საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, მისამართი)
- სკოლის დასახელება
- მშობლის (კანონიერი მეურვის) საკონტაქტო ინფორმაცია

აუცილებელია, გამოაგზავნოთ მინიმუმ 3 ნამუშევარი (ჯპგ ფაილი).

ნამუშევრების თემა თავისუფალია.

ფინალური ეტაპისთვის შეირჩევა 12 მონაწილე.

დეტალური ინფორმაცია კონკურსების შესახებ:

„ჩვენი თავგადასავალი" და „შექმენი შენი კალენდარი" ორი წელია, „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის" ორგანიზებით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში იმართება და მიზნად ისახავს შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული მოზარდების წარმოჩენასა და პოპულარიზაციას.

ორივე კონკურსის ფინალური ეტაპის მონაწილეები მიემგზავრებიან ახალციხეში, სადაც ერთნი - ლიტერატურულ, მეორენი კი სამხატვრო მარათონში ერთვებიან.

ფინალური ეტაპი 5 დღეს მოიცავს. პირველ დღეს მხატვრებს კენჭისყრით შეხვდებათ წელიწადის რომელიმე თვე, ხოლო პროზაიკოსებს მიეცემათ საკვანძო ფრაზა, რომელზეც მოთხრობა უნდა ააგონ. პარალელურად, კონსულტანტები ჩაატარებენ პროფესიულ მასტერკლასებს.

1 ოქტომბერს გაიმართება ღია ცის ქვეშ ექსპოზიცია და გამოვლინდებიან საუკეთესოთა შორის საუკეთესოები როგორც მხატვრებს, ისე პროზაიკოსებს შორის („ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის", კონსულტანტებისა და სპონსორების რჩეულები), რომელთაც ფასიანი და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცემათ.

წლის ბოლოს გაიმართება კონკურსების ფარგლებში საუკეთესო მოთხრობებისგან გამოცემული წიგნისა და კედლისა და სამაგიდე კალენდრის პრეზენტაცია.

ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი

იური იმერლიშვილის სახელობის ტურნირი

2016 წლის 23 აგვისტოს ხაშურის რაიონის სოფელ ალში ჩატარდა ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივნის წარსულში წარმატებული სპორტსმენის იური იმერლიშვილის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში.

სხვადასხვა წონით კატეგორიაში გამარჯვებულნი გახდნენ:

46 კგ : 1. მეხრიშვილი გიორგი 2. ბედოშვილი გიორგი 3. გელაშვილი როინი;

55 კგ: 1. ბუხრიკიძე ნოდარი 2. იპიდანაშვილი ვალერი 3. გიორგაძე ზურა;

60 კგ: 1. ოძელაშვილი ერეკლე 2. ნასყიდაშვილი გიორგი 3. საღინაძე რატი;

66 კგ: 1. ლიპარტელიანი გიორგი 2. დვალაშვილი ზაური 3. ჩინჩალაძე გიორგი;

73 კგ: 1. სოზიაშვილი ოთარი 2. ნინიაშვილი მურმანი 3. სილაგაძე ბაგრატი;

+73 კგ: 1. ქათამაძე ვეფხია 2. ნოზაძე თორნიკე 3. ხატიური რატი.

სურათზე: ი. იმერლიშვილი გამარჯვებულ მოჭიდავეებთან ერთად.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.